პრესრელიზი

15 აპრილს, 15:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3), გაიხსნება გამოფენა დედა ენის დღესთან დაკავშირებით. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცული უნიკალური მასალა, მათ შორის იაკობ გოგებაშვილის ავტოგრაფები, მიმოწერები და ა.შ.

ექსპოზიციაზე პირველად გამოიფინება თედო სახოკიას არქივში დაცული ოსკარ შმერლინგის ნაკლებად ცნობილი ილუსტრაციების ორიგინალები. ასევე, ოსკარ შმერლინგის „დედა ენისა“ და „ბუნების კარისათვის“ შექმნილი ილუსტრაციები. გამოიფინება 1920 წლის „დედა ენის“ სტამბური კლიშეები, რომლებიც საფუძვლად უდევს გამოფენის ფარგლებში შემუშავებულ პრაქტიკულ სამუშაოს „დაბეჭდე „დედა ენა“ ; საგანაგებოდ მომზადებული რეკვიზიტების გამოყენებით მსურველებს თავად შეეძლებათ „დაბეჭდონ“ „დედა ენის“ რამდენიმე გვერდი. გამოფენის ფარგლებში, ვიზიტორები ეზიარებიან ბეჭდური წიგნის სათავეების ტექნოლოგიას, უშუალოდ შეეხებიან „დედა ენის“ პირველი ბეჭდური ვერსიების გვერდებს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურად არის ჩართული საგამოფენო-საგანმანათლებლო აქტივობებში. დედა ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენით კიდევ ერთი წვლილს შეიტანს ქართული კულტურის ფართო საზოგადოებისთვის წარმოჩენაში. გამოფენაზე დასწრება საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება 18 აპრილის ჩათვლით.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაგიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge